

ა ვ ტ ო ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

მე, კახაბერ ანდროს ძე სოფრომაძე, დავიბადე 1975 წლის 22 მაისს საქართველოში, ქალაქ ჭიათურაში. ვცხოვრობ [REDACTED]

1982 წელს შევედი და 1992 წელს დავამთავრე ჭიათურა სოფელ ხრეითის საშუალო სკოლა.

1992-1998 წლებში ვსწავლობდი ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1998 წელს დავასრულე სრული კურსი სამართალმცოდნის სპეციალობით.

1998 -1999 წლებში ვმსახურობდი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, კერძოდ ეროვნული გვარდიის საჩხერის სამთო მოტომსროლელ ბატალიონში. წოდება უმცროსი სერჟანტი.

1995 წლიდან (დაარსების წელი) აქტიურად ვიყავი ჩართული საერთაშორისო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ (შემდგომში სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება ISFED) საქმიანობაში.

1998-2000 წლებში ვმუშაობდი შპს „მალაროელის“ იურისტად, გავთავისუფლდი საკუთარი განცხადების საფუძველზე. მუშაობა დავიწყე სხვა ორგანიზაციაში.

2000 წლის მარტიდან 2004 წლის თებერვლამდე ვმუშაობდი „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ ISFED ჭიათურის კოორდინატორად, ჩემს უშუალო მოვალეობას შეადგენდა ორგანიზაციის საქმიანობების და პროექტების განხორციელების ხელმძღვანელობა ჭიათურის რაიონის ადმინისტრაციულ საზღვრებში. ორგანიზაციის პროექტებში მონაწილეობა.

პარალელურად 2001-2005 წლებში ვმუშაობდი საქართველოს ადვოკატთა ეროვნულ ასოციაციაში ჭიათურის ბიუროს უფროსად და ადვოკატად. აქ მოღვაწეობა დავასრულე ადვოკატთა ასოციაციის შექმნის და მასში გაწევრიანების გამო.

2005-2013 წლებში ვიყავი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, 2013 წლიდან წევრობა შეჩერებული მაქვს.

2002-2004 წლებში ვიყავი „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ ISFED გამგეობის თავმჯდომარე. ხოლო 2004-2005 წლებში გამგეობის წევრი

2004-2007 წლებში ვმუშაობდი „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ ISFED იურიდიული მრჩეველის პოზიციაზე, სადაც ჩემს კომპეტენციაში შედიოდა ორგანიზაციაში სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტა და წარმომადგენლობა სასამართლოში.

2005-2008 წლებში ვმუშაობდი სპს „სამხარაძე სოფრომაძე ძინძიბაძე იურიდიული ფირმა KGK კომპანია“-ს ადვოკატად. ვიყავი ამ ფირმის ერთ ერთი დამფუძნებელი. ფირმის საქმიანობის შეჩერების გამო 2008 წელს შევწყვიტე შრომითი საქმიანობა.

2008-2013 წლებში ვმუშაობდი სპს „სამხარაძე პაქსაძე სოფრომაძე და პარტნიორების“ ადვოკატად. ვიყავი ამ ფირმის ერთ ერთი დამფუძნებელი. 20013 წელს პირადი განცხადებით დავტოვე თანამდებობა და პარტნიორის წილი ფირმაში.

2013-2017 წლებში ვმუშაობდი პარლამენტის მიერ არჩეულ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად.

2013-2017 წლებში იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან ვიყავი წარდგენილი იურიდიული დახმარების სამსახურის გამგეობის წევრის თანამდებობაზე.

2017 წლის სექტემბრიდან ვარ საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტის (სეუ) სამართლის ფაკულტეტის ლექტორი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს #1/214 გადაწყვეტილებით მომენიჭა იუსტიციის მრჩევლის სპეციალური სახელმწიფო წოდება.

2017 წლის 21 ივლისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო # 17 გადაწყვეტილებით მომენიჭა სოციალური მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხი. სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება საქართველოს სასამართლო სისტემა (პოლიტიკურ სამართლებრივი ასპექტები).

2003 წლის 8 მარტს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოში ჩავაბარე პროკურატურის მუშაკის საკვალიფიკაციო გამოცდა.

2004 წლის 18 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ჩავაბარე ადვოკატთა ტესტირება (საერთო სპეციალობა);

2005 დეკემბერიში და 2013 წლის ივლისში საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიაში ჩავაბარე საარჩევნო მოხელის საკვალიფიკაციო გამოცდა;

2007 წლის 16 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოში ჩავაბარე მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

მეუღლე მარიამ კოპაძე დაბადებული 1976 წლის 24 აგვისტოს, უმაღლესი განათლებით, თვითნებური #51 საჯარო სკოლის პედაგოგი.

შვილი ლიზი სოფრომაძე, დაბადებული 2008 ელის 02 აგვისტოს. სკოლის მოსწავლე.

შვილი ანდრია სოფრომაძე, დაბადებული 2013 წლის 14 მარტს. სკოლამდელი აღსაზრდელი.

დედა ინეზა აბესაძე დაბადებული 1951 წლის 19 ივნისს, სოფ ხრეითის საბავშვო ბაღის მედდა.

არ ვყოფილვარ არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი.